

გამოვყოფ რამდენიმე პრობლემას, რომელსაც გამოკითხვებზე დაფუძნებით 2019 წლის ზამთრის განმავლობაში სტუდენტები უარყოფითად აფასებენ და ვფიქრობ რომ კარგი იქნება თუ ადმინისტრაციის მხრიდან შესაბამისი ზომები იქნება მიღებული.


სიმარტივისთვის გამოვყოფ ადმინისტრაციულ და სწავლების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს.

ადმინისტრაციულ საკითხები, რომელიც გასათვალისწინებელი იქნება 2020 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის (იხ. დიაგრამები 1,2,3):


1. კვების ობიექტის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება.
სამოქმედო გეგმა: კარგი იქნება, თუ წინასწარ იქნება ცნობილი სტუდენტებისთვის, რომელ დღეებში ან საათებში მუშაობს კაფე. იქნება თუ არა იქ ხელმისაწვდომი საკვები და თუ არ იქნება, მივცეთ მათ რჩევა რომ მოიტანონ საკვები სახლიდან, ხოლო მოწესრიგებული შესაბამისი სივრცე დავუთმოთ ჩვენ.
2. სანიტარული კვანძების რაოდენობა.
სტუდენტების 30% მდე თვლის, რომ მათი რაოდენობა არაა საკმარისი.
ვინაიდან სტუდენტების უმრავლესობა მდებარეობს სქესისაა, ალბათ მეტი დატვირთვა მოდის ქალების ტუალეტზე და მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების საერთო რაოდენობისთვის, შესაძლოა 2 ტუალეტი საკმარისია, გენდერული დისბალანსის გამო ასიმეტრიულად არის დატვირთული ტუალეტებიც. ამიტომ თუ არის საშუალება, ალბათ კარგი იქნებოდა თუ 1 ტუალეტს დავამატებდით ქალებისთვის.

სწავლების ხარისხთან დაკავშირებული საკითხები


1. სტუდენტების 60% მდე აცხადებს, რომ მათთვის გაუგებარი რჩება რიგი საკითხები ლექციების შემდეგ. სილაბუსის დატვირთულობის თუ გავითვალისწინებთ, ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია აკადემიური პროგრესის თვალსაზრისით. ჩემი რეკომენდაციაა, რომ მეტი ვიდეო მასალის გამოყენება მოხდეს სალექციო პროცესში, ისე, რომ პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს ვიზუალურად აღიქვას და წარმოიდგინოს ახალი მასალა.
2. სწავლების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემას წარმოადგენს ასევე ლიტერატურის ხელმისაწვდომობის საკითხი. ჩემი აზრით აქ უფრო დრამად უნდა წავიდეთ და გავიგოთ რა სახის ხელმისაწვდომობის შეზღუდვაზეა საუბარი. შესვენებებისა და გამოცდების შედეგების გამოცხადებასთან დაკავშირებით, ვთვლი, რომ მიღებული შედეგი მეტად დაკავშირებულია სტუდენტების სუბიექტურ დამოკიდებულებასთან ვიდრე რეალურად არსებულ პრობლემასთან.
3. მიცემული სასწავლო მასალის მოცულობის პრობლემა. ალბათ კარგი იქნება თუ დავითვლით საშუალოდ რამდენი გვერდის მომზადება უწევთ პროფესიულ სტუდენტებს 1 დღის განმავლობაში და დავადგინოთ, არის თუ არა ეს ადეკვატური დატვირთვა.



დიაგრამა 1-თერაპია



დიაგრამა-2 ჰისტოლოგია



დიაგრამა 3-მიკრობიოლოგია

ანგარიში მომზადებულია ხარისხის სამსახურის მიერ

ხარისხის სამსახურის უფროსი

ეკა აბჯანდაძე